პროექტი

აფხაზეთის პარლამენტის სტრუქტურა და კომპეტენცია

აფხაზეთის პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნება ცენტრალური საარჩევნო კომისია შვიდი წევრის შემადგენლობით (გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი (თავმჯდომარე), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული სამ–სამი წევრი).

.აფხაზეთის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა.

გარდამავალ ეტაპზე, არსებული წინააღმდეგობების უფრო ეფექტურად განეიტრალების, აფხაზეთის მრავალეროვანი (აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, სხვა) მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების დაცვის და მდგრადი სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, რომ აფხაზეთის პარლამენტი იყოს ორპალატიანი.

მთავრობას ხელმძღვანელობს **პრემიერ–მინისტრი**, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.

***პრემიერ–მინისტრად* შეიძლება არჩეულ იქნეს აფხაზეთის მოქალაქე (*აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე*), 35 წლის ასაკიდან, რომელიც დაბადებულია** აფხაზეთში და უცხოვრია იქ არა ნაკლებ 15 წლისა, აქედან 1992 წლამდე 5 წელი მაინც.

პრემიერ–მინისტრობის კანდიდატისათვის სავალდებულოა ორივე სახელმწიფო ენის (აფხაზური, ქართული) ცოდნა.

პრემიერ–მინისტრი არჩეულად ითვლება, თუ კანდიდატმა მიიღო აფხაზეთის პარლამენტის როგორც თითოეული პალატის, ასევე პარლამენტის სიითი შემადგენლობის ხმათა 2/3 მაინც.

აფხაზეთის პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, **პროპორციული სისტემით არჩეული 35 (რესპუბლიკის საბჭო, ქვედა პალატა) და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 11 პარლამენტის წევრისაგან (სენატი, ზედა პალატა).**

აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს აფხაზეთში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე. აფხაზეთის პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე აფხაზეთის მოქალაქე – რესპუბლიკის საბჭოში **25 წლის ასაკიდან,** ხოლო სენატში **30 წლის ასაკიდან.**

ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის დეპუტატთა სიითი შემადგენლობის **2/3 მაინც.**

კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის **3/4 მაინც.**

აფხაზეთის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე კონტროლს განახორციელებს **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.**

გამოქვეყნებულია " 24 საათში ", 2005 წლის 22 ივნისს.

ავტორები: ჯარგვალია თეიმურაზ ჩიტოლავა
ჯარგვალია [illegible] გაბისონია
ჯარგვალია ჟღენტი ასათიანი